ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი N2

დაბა ქედა 20 ივლისი, 2020 წელი

სხდომა დაიწყო 13:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 13:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
კარლო თურმანიძე - კომისიის წევრი
როსტომ შერვაშიძე - კომისიის წევრი
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: გენადი არძენაძე და ბაქარ ბარამიძე;

სხდომას ესწრებოდა - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ჯემალ ტაკიძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

20.07.2020 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	რეზო თურმანიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	კარლო თურმანიძე	კომისიის წევრი	
3	ბაქარ ბარამიძე	კომისიის წევრი	
4	როსტომ შერვაშიძე	კომისიის წევრი	
5	გენადი არძენაძე	კომისიის წევრი	
6	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. **„„ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის განხილვის თაობაზე.**

მოისმინეს: „„ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტი (შემოსული დოკუმენტი:№61/04;15.07.2020 წელი) და განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 17 ივლისს №20 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე. განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენის ვადად განისაზღვრა 2020 წლის 20 ივლისი დღის 15:00 საათამდე, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიაში შენიშვნები და მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუეტო სამსახურის უფროსის ჯემალ ტაკიძის განმარტებით, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტთან მიმართებაში

მიზანშეწონილია დამატებით განხორციელდეს ცვლილებები (ოქმს ცვლილებათა რეესტრი დანართის სახით თან ახლავს)

კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.
2. საკითხი ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე